განკარგულება:**g-49. 49252694**
თარიღი:**26/09/2025**

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობის (საკ. კოდი # 29.08. 34.014) პირველ სართულზე განთავსებული 8.0 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის დეპარტამენტისათვის არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 23 სექტემბრის 48-4825266149 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობის (საკ. კოდი # 29.08. 34.014) პირველ სართულზე განთავსებული 8.0 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის დეპარტამენტისათვის, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობის (საკ. კოდი # 29.08. 34.014) პირველ სართულზე განთავსებული 8.0 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის დეპარტამენტისათვის არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი